კვირა 11 მაისი

ფასი 5 კაპ.



# მათრახი

№16. იუმორისტ. ჟურნალი



**ტირიფონის ველზე.**

ჩვენი ბრწყინვალე წოდება
გლეხ-კაცობას ცოცხვენ, ჰგვიან,
ტირიფონის ველსა სწმენდენ,
შრომობენ და ოფლსა ღვრიან!

მამულ-დედულს რომ ჰყიდიან —
იცინიან, უხარიან!
„საქართველო ჩვენიაო“,
მაინც ამას იძახიან!

მა—ნი.

### მაღაროს მუშა.

არსით სხივი, ცის ნათელი,
ირგლივ მთელი ჯოჯოხეთი,
სხვას მზე ატკბობს, უალერსებს,
ჩემზედ მეფობს უკუნეთი!

შავს მიწაში, ბნელ მაღაროს
ცოცხლათა ვარ დამარხული,
მაგრამ მაინც არა ვდრკები
და იმედით მიძგერს გული,

იბრძვის, ქშინავს სიბნელეში,
მკერდი ოფლით დაღარული,
წერაქვია თანამგზავრი
მოძმე ჩემი და ერთგული.

დავკრავ მიწას, ქვას და ლოდსა,
ფერფლად ვაქცევ გავალ ღელოს,
კვლავ ვიხილავ მზის თბილ სხივებს,
სინათლეს და ტურფა მდელოს!..

**გოგია.**

## გურული სცენა

### პარასკეობაზე.

— დილა მშვიდობის ბარბალე.

— ღმერთმა მშიდობით მიმყოფა შენი თავი ჩემო ეფროსინე.

— სათ მიბძანდები ამ დილას ბარბალე?

— აგერ მივალ პარასკეობაზე, რაცხა პაწე საყიდელი მაქ.

— რაი აწი?

— რაი და, ციცამ გამიმწარა სიცოცხლე, რაცხა დასალუპავი „ჩლაპაა“ იგი თუ არ მიყიდე, წყალში დავირჩობ თავსო, არც ჭამს, არც სვამს, თელი ღამე წუხელის ტირილით გაათენა...

-- უი, მომკალი ვინცხამ. აწი რავა, თუკი უნდა უყიდო თვითონ რეიზა აღარ წამევიდა, შენ რაფერ უნდა უურჩიო?

— ქე ვეხვეწე შენი ჭირიმე წამოი მეთქინ, მარა არ ქნა, ცაი და ქვეყანა ჩლაპით იქნება და მე ცახოცით ვერ წამუალო. ისე ქე დამიბარა რაცხა ამისთანე ფასონის იყოსო, მარა რა ვიცი, ვიშოვნი იმისთანა თუ არა ღმერთმა იცის.

— დიდება შენ ღმერთო, რავა ·ადირია ქვეყანა. ღმერთი ამუაგდებს ··ძას ვინცხამ იგი მოდა მეიგონა, რომ გეიგოს ქე ეწყინება ბეჩა, საწყალ ილარიონას ერთი კნიტი სიმინდი არ აქ სახლში და მის გოგოს იმხელა „ჩლაპა“ ახურავს თავზე, რომე სტორეთ შენი საქათმის ხელა კია...

— აწი რა შორს მიხვალ, რავა საწყალ ჩემ ყაძახს წულები კი არ აცვია ფეხზე, მარა რა უყო შენი ჭირიმე, გოგომ დეისივა თავი და პირი ტირილით. საწყალმა თქვა: მომიკდება ბალანეო, მირჩონია ისევ ლე მე ვიყო ფეხ-შიშველი მაგას უყიდე, რაცხა დალუპული ჩლაპააო.

— ნათქვამია ბარბალე; ყური იმიზა არ იზდება, რამე სხვაი და სხვაი საშინელი ამბავი ეყურებაო. რა არ მეიგონეს ამ დასალუპავმა ვაჭრებმა, ჩლაპა, გეში, იაფონცკი რუბაშკა, ვიწრო კაბა და რა ვიცი, რომელ ერთს მოთვლის ენა და პირი. აწი პოლცაბოტკები უნდა ნახო რას გავს ქუსლი სტორეთ ოჩოფეხას გავს და ჭვინტი საშინელათ აქ აკოშტოლებული, საშინელად დეილუპა იმის გამყიდავი აწი ცხრა მანათ ნაკლებ ზედ არ შეგახედებენ.

— ცხრაი სახარება გუუწყრა იმის მომგონს რავაც იგენმა დააქცია ჩვენი ოჯახი, შვიდობით შენი ჭირიმე შვიდობით, თუ არ ვიჩქარე პაწე მერე ასიცხდება მოვკდები მე უბედური

-- ღმერთმა შვიდობით მიმყოფა შენი თავი და იეფათ გაყიდვია ყორიფელი.

— შენს პირს შაქარი ჩემო ეფროსინე შენი ჭირიმე

— ღმერთმა უჭიროთ გამყოფოს ჩემო ბარბალე შენ გენაცვალე

**რ. ჯიბილ.**

## უკანასკნელი იერიში

(ისტორიული ამბავი ქუთათურ „ბოლოკისტთა“ ცხოვრებიდან).

ის იყო ექიმმა ტყეშელაშვილმა, დილის ტკბილ ძილში, მარჯვენა ფეხი გამართა, უცაბედათ ,,მაზოლიანი'' ნეკი კრაოტის თავს მიარტყა და საშინლათ დაიწივლა სიმწარისაგან, რომ ვიღამაც კარები დაუკაკუნა.

იქნებოდა დილის შვიდი საათი. ექიმი საშინელ ტკივილს გრძნობდა მარჯვენა ფეხის და ყრანტრანტ ესიამოვნა უდროო სტუმარი, ერთი ორი კარგა ი შეუკურთხა და მეტი რა გზა ჰქონდა მწარე ხმით გასძახა.

— ვინა ხარ ამ დილა ადრიან რომ გარჯილხართ? — ექიმი ლოგინზე წამოჯდა მარჯვენა ფეხი მოლუნა და ნელა ხელი გადაუსვა ნეკს, რომ ცოტათი დაემებია ტკივილი. გარბდან მოისმა ნელი ღიღინი:

უკაცრაოდ შეგაწუხე
არ გეგონოთ თამარ-ნუცა,
საქმისათვის გეახელი
მე პოეტი, თქვენი გუცა.

ექიმს სიამოვნების ღიმილმა გაუთამაშა. დააპირა წამოდგომა, ნახევრად წამოიწია, მაგრამ თითქოს რაღაც გაახსენდა, ისევ მიწვა და ღრმად ჩაფიქრდა. ეტყობოდა ექიმი რაღაცას თხზავდა თავის გოგრაში, ალბათ უნდოდა დაემტკიცებია პოეტისთვის, რომ მასაც შეუძლია ლექსის თხზვა (ეს სენი ამ ბოლო დროს ექიმებსა და [illegible]ებსაც მოედვა). არ გასულა დიდი ხანი რომ ექიმი ლოგინზე წამოჯდა. სახეზე სიხარულის ღიმი უკრთოდა. მას დაავიწყდა ფეხის ტკივილი და კარებთან მდგომ პოეტს შეეხმაურა:

ჩვენი გუცა, საყვარელი
,,იმერეთს'' რომ თავი სტკუცა?
ეხლავ, ეხლავ გენაცვალე
ფეხი ძალზე მტკივა თუმცა.

გარედან პოეტური სიცილი მოისმა. ექიმი ლოგინიდან იატაკზე გადმოვიდა, კოჭლობით მივიდა კარებთან და გააღო. პოეტი შემოვიდა ოთახში.

— დილა მშვიდობის, ბატონო, ექიმო, ბოდიშს ვიხდი რომ გაგაღვიძე, მაგრამ კარგად იცი თუ როგორი საშურო საქმე გვაქვს.

ექიმი საშინლად დაიღრიჯა, კოჭლობით მივიდა ლოგინთან და ჩამოჯდა.

— აბა, რას ამბობ, ჩვენო დიდებულო პოეტო. რა დროს ბოდიშია, როცა საშვილიშვილო საქმე გვაქვს გადასაწყვეტი! — ექიმი ისევ

დაიღრიჯა და მარჯვენა ფეხი ამოიკანკა.

— რას მივაწეროთ თქვენი ასეთი დაღრეჯილობა, ბატონო ექიმო? ხომ არა გტკივათ რა?

— უჰ! დასწყევლოს ღმერთმა, წარმოიდგინეთ ამ დილით ძილში მარჯვენა ფეხი გავმართე კრაოტის თავს მივარტყი და მაზოლიანი ნეკი ძალზე ვიტკინე. ასეთი მწარე არაფერი მინახავს.

— ძალიან ძნელია, ძალიან, ბატონო ექიმო, როგორ შეიძლება ასე გაუფრთხილებლათ ფეხის გაშვერა. თავს უნდა გაუფრთხილდეთ, თორემ ხომ იცით როგორ საჭირო ხართ? იქნებ სველმა ტილომ გარგოთ?

— არა მიშავს რა, გაივლის.— ექიმი წამოდგა და ტანზე ჩაცმას შეუდგა—უკაცრაოდ ჩაუცმელი დაგიხვდი, მაგრამ შინაურ კაცად გთვლი.

— აბა რა დროს ბოდიშია, ბატონო ექიმო, ვინძლო ჩქარა მოემზადოთ რომ დროით წავიდეთ გიმნაზიაში.

— ეხლავე ეხლავე.

ექიმმა საჩქაროთ ტანთ ჩაიცვა, პირი დაიბანა და წასასვლელათ გაემზადა. ამ ხნის განმავლობაში პოეტი გუცა, ოთახში ბოლთას სცემდა და ვინ იცის რამდენი უცნაური ლექსები არ იშვა მის გოგრაში.

ცოტა ხნის შემდეგ პოეტიც და ექიმიც მაგრათ მიალაჯებდენ ქუჩაში.

— დღეს უკანასკნელი დღეა— დაიწყო ექიმმა—დღევანდელმა ლექციამ უნდა გადასწყვიტოს ჩვენი ბედი. დღეს საღამოს უნდა საომრად გამოვიყვანოთ ჩვენი ლაშქარი. მე იმედი მაქვს რომ გავიმარჯვებთ.

— რასაკვირველია გავიმარჯვებთ, ეს იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენათ თავ შეხურებული იქნებიან ჩვენი მეომრები—ღიმილით უპასუხა პოეტმა და შეჩერდა, ჩაფიქრდა. პოეტს მუზამ გაუხიცინა თავში და ის იყო დააპირა ლექსის წამოყრა პირიდან, რომ უცბათ საშინელი ჟივილ-ხივილი მოესმათ. რაინდებმა უკან მოხედვა ვერ მოასწრეს, რომ რამდენიმე ,,დვორიანისტი“ მათ დაეძგერა, რაინდები წაიქცენ, ,,დვორიანისტებმა“ გადაალაჯეს და მოუსვეს.

— ოი, დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავი —ჩაილაპარაკა ექიმმა, წამოდგა და ტანისამოსის ბერტყვა დაიწყო—თუ ასე გიჟურათ მოიქცენ ამელამ, მეშინია უბედრება არ მოახდინონ.

— სწორედ კარგი შვილები, ეზდება მამულს--სიამოვნების ღიმილით წაროსთქვა პოეტმა და მტვერში ამოსვრილი თხელი ქუდი რამდენჯერმე ხელზე დაიბერტყა.

პოეტი და ექიმი უსიტყვოდ დაიძრენ და ნახევარი საათის შემდეგ სათავათ-აზნაურო გიმნაზიის კარებს მიადგენ. ეზოში ისეთი ღრიანცელი იყო, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. შიშით გულ გახეთქილი ძაღლები და კატები საშინელის სისწრაფით გარბოდენ კუდ აპრეხილები. ექიმი პირველი შევიდა ეზოში, მას მიჰყვა პოეტი. დაინახეს თუ არა, შეხურებული ,,დვორიანისტები“ ღრიალით მისცვივდენ, ეკვეთნენ ასწიეს, რამდენჯერმე ძალზე შეანჯღრიეს ორივე და შემდეგ აივანზე აიყვანეს, მათ გამოეგებენ მასწავლებელნი და მრავალი დიდებული საზოგადო მოღვაწე, რომელთაც ამ დიადი დღის აღსანიშნავათ იქ თავი მოეყარათ. პოეტი ძალიან გააკვირა ერთმა გარემოებამ. აივანზე მრავლათ ეწყო წითელი ბოლოკით სავსე გოდრები. მან თითქოს დააპირა ეკითხა ვინმესთვის ბოლოკების შესახებ რამე, კიდეც დააღო პირი, მაგრამ უცბათ შეჩერდა, შერცხვა. მიხვდა რომ ბოლოკებს უთუოთ რაღაც ისტორიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ. დაიწყო გაკვეთილი.

შეხურებული ,,დვორიანისტები“ ცოტათი დაწყნარდნენ და სკამებზე ჩამწკრივდენ, მყუდროებას მხოლოთ მათი ძლიერი ქშინვა არღვევდა. უკანა რიგში ჩამოსხდენ საპატიო პირნი პოეტები, ექიმები მანდილოსნები და საზოგადო მოღვაწენი.

კათედრაზე გამობრძანდა მაღალი კაცი. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ პირი დააღო და პედაგოგს მიაჩერდა პედაგოგმა დაათვალიერა დარბაზი, ჯიბიდან დიდი წითელი ბოლოკი ამოაძრო და აუდიტორიას უჩვენა. დარბაზს გმინვა აღმოხდა გულიდან, ბოლოკის დანახვამ ყველას ნერვები აუშალა.

— ბატონებო და ქალბატონებო! თქვენ მოწაფენო, ჩვენო მომავალო იმედო, ჩვენო სიამაყევ, თქვენ ქალბატონებო და თქვენ საზოგადო მოღვაწენო! ხმა მაღლა დაიწყო პედაგოგმა, ,,დვორიანისტებმა“ სიამოვნების ნიშნათ ყურები გააპანტურეს, მანდილოსნებმა ნელი ხმით ჩაახველეს და საზოგადო მოღვაწეებმა ღაბსტუკები გაისწორეს. პოეტმა გუცამ ენა გამოჰყო და ტუჩებზე მოისლოკუნა.—მოგმართავთ პირველად, თქვენ, მოწაფენო! ყველა თქვენგანს უთუოდ სურს მიიღოს სიმწიფის მოწმობა, მართალია თქვენი დამწიფება ფრიად ძნელი არის, მაგრამ დღევანდელ დღეს შეუძლია საბოლოოდ გადასწყვიტოს ეს საკითხი. დღეს სწორედ უნდა დაამტკიცოთ თუ რამდენათ შეგითვისებიათ კულტურა, რამდენათ განვითარებულია თქვენი გოგრა, რამდენათ შეგისისხლხორცებიათ მამულის სიყვარული. დღევანდელი თქვენი გამოსვლა გადასჭრის საკითხს მოგეცემათ სიმწიფის მოწმობას თუ არა. ვისაც სურს მიიღოს, მოწმობა ის ისე უნდა მოიქცეს დღეს, როგორც ამას მოითხოვს სამშობლოსა და ერის სიყვარული. ეხლა თქვენ მოგმართავთ ქალბატონებო, პოეტებო, ექიმებო და ყველავ. თქვენთვის საჭირო არ არის იმის განმარტება თუ როგორ უნდა მოიქცეთ დღეს. ყველა თქვენგანმა იცის რომ მტერი კარს მოგვადგა და დახვედრა უნდა. პედაგოგმა ბოლოკი უფრო მაღლა ასწია—ბატონებო! აბა შემოხედეთ, ეს გახლავთ ბოლოკი—,,დვორინისტემა“ პირი გააცმაცუნეს—ერთის შეხედვით თითქო უბრალო რამ საგანი გეგონებათ, მაგრამ რომ ჩაუკვირდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ბოლოკისტი“ მასწავლებელი უხსნის „დვორიანისტებს“ ბოლოკის მნიშვნელობას.

და გაითვალისწინოთ მისი დღევანდელი მნიშვნელობა, დარწმუნდებით რომ ამ ბოლოკს დიდი ისტორიული მნიშნველობა აქვს. დღეიდან, უკეთუ ჩვენ ეს ბოლოკი კარგად მოვიხმარეთ და მიზანს არ ავაცდინეთ, რაიცა უმთავრესად დამოკიდებულია თქვენზე, ახალგაზრდობავ—პედაგოგმა „დვორიანისტებისკენ“ დაახრევინა თავი ბოლოკს—ბოლოკს ჩვენ ისტორიაში პირველი ადგილი ეჭირება. მე აქ თქვენ ყურებს არ მოვღალავ იმის განმარტებით თუ როგორ ითესება და იზრდება ბოლოკი. ყველა თქვენგანმა იცის, რომ მას სთესავენ გაზაფხულზე. ის ამოდის, როგორც საზოგადოთ ყოველი მცენარე თუ რაიმე ცხოველმა უდროთ არ მოწიწკნა. ჩქარა იზრდება. ბოლოკს ხმარობენ საჭმელათ, ის მეტად გემრიელია. — „დვორიანისტებმა“ კიდევ გაცმაცუნეს პირი, ერთ ორს გულიც კინალამ შეუწუხდა. მაგრამ ეგ არაფერი, გარდა აჰისა, რომ ბოლოკი შეიძლება კაცმა პირში ჩაიდოს და გააკნატუნოს, მას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. იქ სადაც ვერ გასჭრის ადამიანის ვერც სიტყვა და ვერც კალამი, საკმარისია ერთი გაიქნიოთ ბოლოკი გააკოტრიალოთ სცენაზე თუ სხვაგან და ყველაფერი ერთბაშად გადაწყდება. აი სწორეთ მე მინდა შევეხო ბოლოკს ამ მხრით და გაგაცნოთ იმისი მნიშვნელობა. ყველაზე მეტი მნიშვნელობა ბატონ ბოლოკს თქვენთვის აქვს, ახალგაზრდობავ. მას შეუძლია თქვენ მოგანიჭოს სიმწიფის მოწმობა. „დვორიანისტებმა“ სიხარულით ყლორქინი დაიწყეს და პედაგოგს ტაშისცემით გული შეუწუხეს. პედაგოგი ცოტა ხანს შაჩერდა და განაგრძო. თქვენზეა დამოკიდებული როგორ მოიხმართ თქვენ ამ ბოლოკს. მე უკვე მოვამზადებინე ორმოცი გოდორი ბოლოკი, რა კი აქ ვეღარ ვიშოვნეთ ამდენი, თფილისიდან გამოვიწერეთ ორმოცდა ათი ვირის საპალნე ორთაჭალის ბოლოკი. ყველა თქვენგანმა უნდა აიმსოს ჯიბე, უბეები. მიიღოს თითო რუმკა არაყი, რომ გულადათ იყოთ. ხვალამოს ჟამს ყველას წავასხამენ ქალაქის თეატრში დაიჭერო მთელ ქანდარას. და როდესაც დადგება ჟამი თქვენი მამულიშვილობის აღსანიშნავი, ყველამ ჯიბიდან უნდა ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა




**„ბოლოკისტების“ გამგზავრება ლექციაზე ქუთაისის ქალაქის თეატრში.**

ილოთ თითო ბოლოკი და გააკოტრიალოთ სცენაზე, იქ ლექციას წაიკითხავენ, ეცადეთ თვალში ან ცხვირში არ მოარტყათ ლექტორს და არ დაუზიანოთ თორემ პასუხის გებაში მიგცემენ. შეიძლება ზურგზე, ფეხებში, მუცელზე. ამავე დროს როცა თქვენი ბოლოკები სეტყვასავით წავა სცენისკენ თქვენ უნდა რაც შეიძლება დიდათ გააღოთ პირი და ასტეხოთ ღრიალი, ზოგს შეგიძლია იყეფოთ, ზოგმა იკნავლოს, ზოგმა იბღავლოს, ერთი სისიტყვით ყოველი ჯურის ცხოველს უნდა წაბაძოთ. უკეთუ მარჯვეთ იყავით და ლექტორი უკუ-აქციეთ ხვალვე სიმწიფის მოწმობას მიიღებთ,—დაათავა პედაგოგმა.

დვორიანისტებმა“ სიხარულით იქაურობა დაამტერიეს. რაკი ვერაფრით ვერ დაამშვიდა პედაგოგმა შეხურებული ხალხი, იძულებული შეიქნა ბოლოკი გაესროლა. ის ძლიერად მოხვდა ერთ მოწაფეს შუბლში და დააჩოქა. ყველანი გაჩუმდენ.

— ჩვენო მგოსანთა მგოსანო გუცა—მიმართა პედაგოგმა პოეტს, თქვენი მუზა ქართველი ერის სულია, დაუფასებელია თქვენი ღვაწლი, მაგრამ ერთი სამსახური კიდევ უნდა გაგვიწიოთ ამ გაქივრების დროს. თქვენ პარტერიდან ნიშანი უნდა მისცეთ ქანდარაზე მჯდომ „ბოლოკისტებს“. როცა საჭირო იქნება მაგრათ ჩაახველეთ და ეს იქნება ნიშანი.

— ახალგაზდებო! აი პოეტი, როდესაც ჩაახველებს თქვენც იძვრეთ ჯიბიდან ბოლოკები და გაისროლეთ.

აბა ბატონებო! მიმართა პედაგოგმა ყველას. დღეს ჩვენ დავამტკიცებთ ჩვენს მამულიშვილობას, დავამტკიცებთ თუ რამდენათ წინ მივდივართ, რამდენათ ვითვისებთ კულტურას. დღეს ჩვენ უნდა დავიხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან. ჩვენი ხსნა ბოლოკზეა დამოკიდებული. მაშ გაუმარჯოს წითელ ბოლოკს! დაიყვირა პედაგოგმა და ბოლოკი რამდენჯერმე ჰაერში შეაპროწიალა.

— გაუმარჯოს ბოლოკს, გაუმარჯოს ბოლოკს! გაისმა ქუხილი დარბაზში. ყველანი წამოიშალნენ და გოდრებს მოედვენ.

საღამოს ჟამს ქალაქის თეატრს უახლოვდებოდა ძლიერი ჯარი „დვორიანისტ-ბოლოკისტთა“. თავს თუმცა მსუბუქათ გრძნობდენ, მაგრამ

ნელა მოაბიჯებდენ, რადგან ბოლოკებით გატენილი ჯიბეები ძალზე ეხახუნებოდათ ფეხებზე და სიარულს უშლიდათ. ჯარს წინ ჯორით მიუძღოდა პოეტი გუცა ;და ჭოლოკზე წამოცმული დიდი თვის ბოლოკი ეჭირა. უკან მოსდევდენ დანარჩენი მამულიშვილნი. ხოლო ექიმი ტყეშელაშვილი სასროლ მასალით დატვირთულ დიდ ურემზე წამომჯდარიყო. ურემში ცხრა ვირიება და ნელა მოაგორებდა წითელ ბოლოკებით ყელამდე სავსე ურემს და ბოლოკებზე წამომჯდარ ექიმს.

საღამოს ათ საათზე ჯარმა უკაუკანასკნელი იერიში მიიტანა და ქალაქის თეატრი აიღო.

მეორე დღეს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში გაცხარებული კალმების წრიპინი იყო. იწერებოდა მრავალი სიმწიფის მოწმობა.

**ირეთელი.**

---

# პატარა ფელეტონი

## ოქროს ვერძი.

პაქპულაანთ—„იმერეთი“
„მშაკ“—გეურქას დაეჭიდა
ორივეს სურთ არ დაკარგონ,
რასაც წინაპრები მკიდა.

შოვინიზმით გაჟღენთილებს
ელანდებათ „**ოქროს ვერძი**“
მადა აქვთ რომ მიითვისონ
სხვისი გაჩენილი კერძი.

„იმერეთი“ ასე ამბობს:
„მამა ნუ წამიწყდებაო,
ჩამომეხსენ, თორემ ჩვენში
„მშაკო“ ხიდი ჩატყდებაო.

საერთო შენ ჩვენთან რა გაქვს?
მოვახშევ და ჩარჩო—ფლიდო,
ეხლავ გიჯობს ჩამოგვშორდე
გუდა-ნაბადს ხელი ჰკიდო“.

ესა სთქვა და მედიდურათ,
მან მიიღო სახე ბრძნული,
სიხარულით გაებერა
ორგანიზმი „ეროვნული“.

მაშინ „მშაკმა“ უპასუხა:
—„იმერეთო ფხიკიანო!
შენს თავადებს არა ვგონებ,
საქმე ექნას საჭკვიანო.

ისეთს მოგდებ ხრიკა-თავში
დაგავიწყდეს სილნალიო,
შვილის შვილსაც, რომ დააჩნდეს
ეს ნიშანი, ეს დაღიო“.

აირაზმენ— დაირაზმენ,
ზუბრებისა მთელი ჯარი,
ვაშა „ნაციონალისტებს“
საქმე მოსდით საოცარი:

ჩატყდა ხიდი და ორთავე
დალმართისკენ დაექანა,
(კარგი არის, რომ მაგვარებს
აუტყდება ტვინის ფხანა).

—

მე კი ვფიქრობ, „იმერეთი“
დაამარცხებს „მშაკის“ გმირებს,
(დღეს იმათი მოქმედება
მთელ ქვეყანას რომ აკვირებს).

იარაღიც კარგი აქვან—
(გამოდიან „ბოლოკებით“)
და ყურებსაც გვიჭედავენ
მეტად „სასიამო“ ხმებით.

იქ სილნალელ „დევ-გმირებსაც“
აქვთ „ელიბოს ზარბაზანი“
(და კაპიტან ტყავაძესაც
მე გეტყვი არ შესწევს ჯანი?)

დაიფრენენ სილნალიდან
იმ გაბლენძილ გეურქ-ალებს,
(ეჰ დროებავ, ვინ პატრონობს
საქართველოს მინდორ-ბაღებს!)

**ჟან-ჟაკ.**

---

## ღია წერილი

ბ-ნ ი. გომართელს:

ბიძიავ ივანე! ივანე ნათლის მცემელმა წალმა წეიყვანოს შენი საქმე იმ ქვირთიანი ქახალდის დაწერიზა, რომელიც იყო „თემში“ და რომელიც ჩემ ბიჭს კოწიას თუთხმეტჯერ გადავაგარგალებიე. აბა რაი ოქროვ, ანჯახზეა ჩვენი საქმე, ბალხებს კლასში გვირუსებენო ვტიროდით და ახლა აგი მუცელ-ოხერი თავადები ვითომ კიდეც ვეცოდვებით და გვტირიან, მარა აგერ წკანტი უკლიან ჩვენი მიწები ტერიტორია თლა გაალემენც გაახახოლონ. ჰო და ამ სულის ამოძურწვის დროს მოგვდგომიან აქიდან-იქიდან მეგაზეთეები და შენი არ იყოს ცარიელ სიტყვებს გვიჭრელებენ. ზოგი ყბასაც კი გვიქცევს. ისთევლე შენ აგაშენა ღმერთმა და ბუნებამ ჩემო ოქროვ, ყოლიფერიზა კაი რეცეპტი იცი გამოწერა. ჰო და რავარც კი წევიკითხე ჩემი ბატონი შენ ხარ, შენი ჭკუის სწავლება, იმერლებმა და ქართველებმა ქართლ კახეთს მიაშურონ, მეგრელებმა და გურულებმა შავზღვასო და დადილღვამებულები ტერიტორიაზედ გეირაზმონო, მოგეცა ლხენა აგი მოგვეწონა, შევხტით და შევკუნტრუშდით მივბზიალდით და მოვბზიალდით, მივხაზირდით მოვხაზირდით გუდა ნაბდით, ბარგი ბარხანით მე, ესიკამ, ლაზარიკამ, მიხაკიამ გაბრიელამ და შენი თავი ნუ მომიკვტება რავარც კი მივიღებთ შენგან ტერიტორიის საყიდელ წყალობას, იმ მინუტში ვიდკომილებით და არ დავჯდებით, ვიჯდომილებით და წამოვგჯებით და კუდ მომწვარ კატასავით ვფხეკებთ და მოვშპებით მარა შავს ზღვაში და კურმუხეთში კი არა, აქეთ ჰა ტფილილისში გავალვის პროსპექტზე შენ სასახლის იქიდან მწვანე სახლში არხეინად გამევიჭიმებით ქალიანა, ბალნიანა, ამიანა, იმიანა, და ზოგიერთები რომ ყბას გვიქცევს ძროხებს გვიძახიან სოფლის გლეხებს, უჩვენებთ ბურჟუობას ჩვენ თუ ვერ მევიხმართ ასე უშენო ქართმე ჭკუიანო ოქროვ, ტყულაათი არ აგვაჯახრიკო.

დავშთებით შენი ქვირთიანი სიტყვის მომლოდინე მონდობილობით და ჩემ მაგიერ ოითამა ხიზანაძე

**შხანკოლა.**

---

# მესტვირული

(ოზურგეთისთვის.)

შევასრულე დაპირება,
კვლავ ავიღე ხელში სტვირი—
მსურს ვუმღერო იმ პოჩვერას
ფინიას რომ უგავს ცხვირი.
უპატრონო უსახლ-კარო,
ბედისაგან განაწირი
კარ და კარა ეთრეოდა,
ვით გლახაკი, ვითა-მწირი.

ერთ ადგილს ვერ ჩერდებოდა
ღოღიალსა მიჩვეული,
ხან აქ ეგდო და ხან იქა
ჩაფლეთილი-ჩახეული.
მიხაკიამ შეიბრალა
დაკარგული-დამთხვეული;
ბინა მისცა თავის სახლში
და გააძღო დამშეული.

გაძღა, გათბა, გასისინდა
თავის ქეჩო მოიფხანა;
თუ რამ ჰქონდა მიხაკიას
სულ გაიხრა ძვალიანა.
იქ სახრავი რომ პიაკლდა
ნიკოლაშვილს მიატანა;
ჩაიბარგა უკითხავათ
(არ უნდოდა ჭამა განა?)
რა მოსწყინდა ნიკოლაშვილს
უსაქმურის ტყვილა რჩენა,
პანჩური ჰკრა, გადააგდო,
ქამჯარაძეს მიუდენა,
ერთხანს იქაც სვა და ჭამა,
გაიბერა—გაიტენა,
მაგამ ვერსად ვერ დაიცხრო
ეგ ოხერი მყრალი ენა.
ქამჯარაძემც პანჩურითა
გადააგდო „ქვეყნის გლახა.“—
კნიაზ კოტეს შეეცოდა,
მოულობა ერთი ფაცხა·
შიგ ცოლ-შვილით დაასახლა,
ჩასაცმელიც მისცა რაცხა;
ტყის მცველთაც დაიყენა,—
(ეფუ ბიჭო, აცხა—აცხა!)
გაიჯიგრა რუსიოლლი,
გაიჩალხა, გაიფერა;
საცინლავიც რომ იშოვნა
ერთი ორად გაიბერა,—
ტყის მცველობაში ქანქარით
გულიც კარგათ გაიჯერა.—
(ნახეთ კაცსა „ქვეყნის გლახას“
სად მიიყვანს ბედის წერა).
ძნელი არის ოდეს კაცი
ლოღიალსა მიეჩვევა,
ერთ ადგილზე ვერ დადგება,
აუტყდება მუხლის რხევა.—
ვეღარ გასჭრის მის შესახებ
დარიგება და შემჩნევა.
(ამ გვარ კაცსა სიბოროტე
ძლიერ ადრე შეემჩნევა)
რუსიოლლი ჩვენს კნიაზთან
ვეღარ დადგა, აიბარგა
და სიმაურს ცოლშვილითა
ჩაესახლა—ჩაებარგა.
ძროხა, ხარი, გაუყიდა,
ფული ჯიბეს ჩაიბარგა;
სიმაურიც ოჯახიდან
გადადენა—გადაკარგა...
ამ ბოლო დროს ვექილობა
მოისურვა განიზრახა,
მექრთამობას შეეჩვია,
დაუფჩინა ქანქარს ხახა.
ამგვარებში ის ბაქოში
გენერალთან გაიჩალხა.
(ნახეთ როგორ გაიზარდა
ეს პოჩვერა „ქვეყნის გლახა“).
ტრაპაიძემ ის ვექილად
აიყვანა—დაიწერა,
მას მიანდო ყველაფერი
მამული და ბედის წერა.
ამ შემთხვევით რუსიოლლიმ
ისარგებლა მრავალ ჯერა,
ტრაპაიძის ქონებითა
გული კარგათ გაიჯერა.
ბევრი თვითონ შესჭამა და
ბევრი ვიღაც ქალსა მისცა,
რაც გამორჩა ტრაპაიძეს,
მით კასინეს პატივი სცა.
ბოლოს ერთი სამოსახლო
„ისიდორეს“ დაუმტკიცა
და უბედურ „მახარაძეს“
ყველაფერში ვარი სტკიცა...
მისი საქმე დიდებული
ვერ შევსძელი მეთქვა ყველა,
ეს ის გახლავთ თავის ცოლს რომ
ორი თითი მიაცელა.—
ცოდვა არის მესტვირე თუ,
ვინც ღირსია, აქო ყველა,
ვერ გაუძლებს მას ყანყრატო
აუტყდება ძნელი ხველა.—
მეც დავსუსტდი და ამ ჯერათ
მეტი აღარ შემიძლია,—
შიშიც მიპყრობს, „შევარდენმა“
ვაჰ, თუ კვალი დამიკვლია,
ურჩითა მდევს, ის დევნაში
ეგრე რიგათ გაწვრთვნილია.—
კვირეს კვალად გეახლებით
სულმა კიდევ თუ წამძლია.

**ბერი ქედანი.**

## მეგობრული რეცენზია.

(დაბ. ჭიათურიდგან.)

ოთხშაბათს 30 აპრილს, ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ, გაიმართა სალიტერატურო-ვოკალური და საცეკვაო საღამო. პირველად წაიკითხა თ. ჯ-სამ თავისი ნაწარმოები: „ჩვეულებრივი ისტორია“, რამაც „ალტაცებაში“ მოიყვანა საზოგადოება, განსაკუთრებით ქალები. სასურველია და უფრო შესაფერი იქნებოდა ამ მოთხრობისათვის ავტორს „არა ჩვეულებრივი ისტორია“ ეწოდა, რადგან მაყურებლებზე სწორეთ არა ჩვეულებრივათ იმოქმედა.. ს. კ-ძის ხორომ, პირდაპირ ცრემლის წვიმა მოიყვანა... გ. ტაბიძემ თავის „მქუხარე“ ხმით, დარბაზის უმეტესობა ძილის სამეფოში გადასტყორცნა. ი. გრიშაშვილმა წაიკითხა: „წამო ტყეში“, რითაც ქალიშვილებს გული აუძგერა. ია ეკალაძე ვერ დაესწრო, რადგან ვ. გელეიშვილის მომავალ ლექციისათვის ემზადება. მომღერალი ტომაშევიჩი კარგი იყო, ხოლო ელფერს უკარგავდა ყანყრატოში თითების ჩხიკინი. მიზეზათ ექიმებმა ყაყრანტოს სივიწროვე დაასახელეს, მან კი ვარატნიკის ნომერის სივიწროვე. საზოგადოება ენდო მომღერალს! სარაჯიშვილის რომანსები პირდაპირ „აუტანელი“ შეიქნა, და ეს იყო მიზეზი, რომ ხელის გული ყველა დამსწრეთა განიცდიდა საშინელ „სოტრიასენიეს.

დიდებული იყო მოთამაშეთა შორის ლიკიარდოპულო (ბერძენი), რომელიც მუსიკის დაკვრას არც საჭიროებდა: თვით უკრავდა სალამურს ტუჩებით და თვითვე ცეკვავდა. ვით დირიჟორის ჯოხი მუდმივ მოძრაობაში იყო. ლეზგინკაში ჩოხოსანის გაუთაებელმა თამაშმა, ლამის მტვერში დაგვახრჩო..ოი, ღმერთმა დიდი დღე მისცეს ვანიჩკას და მის ვაჟკაცობას! რომ ეს არა, ბზრიალასავით ერთხელ ატეხილი ინერციული ტრიალი დღესაც დაუბოლოებელი იქნებოდა. შემოვიდა თუ არა ვანიჩკა, ბარიშნები ფერ მიხდილი, ტანგოს გალსტუკივით, კისერზე შემოეკვანძენ: „გვიშველე ვანიჩკა! შეაჩერე ეს ყმაწვილი!. ჩვენც გვინდა თამაშიო და სხვა... თხოვნა აღსრულებული იქმნა და თავ მომწონე ვანო, წამოიჭიმა ჩოხოსანის წინაშე ოთარ ბეგივით! თვალები, ნიშნათ მრისხანებისა, ისე ძალზე „დაეკუსა“ რომ შიშის ზარმა მოიცო არამც თუ ჩოხოსანი, თვით მთხოვნელებიც. ცეკვა შესწყდა. გაიმართა ვახშამი გაიმართა ბანქო.

მართლაც დიდი პატივის ღირსია გამწესრიგებლები ასეთი გულ უხვი მასპინძლობისათვის: არცეთ მაგიდაზე ჭიქები, (გარდა ერთი ჩაის ჭიქისა) რაც ნათლათ მოწმობდა მათ სიუხვეს: — ჩვენ თქვენთვის ღვინო არ გვეშურება სვით ბოთლებით, თეფშებით რა საჭიროა სათითაო ჭიქები“!—სიტყვა... „მასპინძლის“ სიუხვე ვერ ჩატარდა უხიფათოთ და ერთ სტუმართაგანს, ბოთლი კუჭში გადასცდა. გამოირკვა რომ მიზეზი დამთქნარებას გამოეწვია. დამთქნარება კი ტოლუმბაშის „ტოსტს“.. საუცხოვო იყო ბ. პერსენაკი „მაკარას“ როლში. თუ სადმე ნაგლეჯი ქაღალდები ან სხვა რამ, ხელის წამოსაკრავი შეხვედროდათ, ყველა თავზე და ბეჭებზე დაეყარათ. განსაკუთრებით გვასახელა მაშინ როდესაც ცურგუმელათა ალყა შემორტყ-

n. 5/1

ყმულმა, შამპანიურის ცარიელი ქი-ქა შეატრიალა ჯადოსნურათ და, ფეხებისაკენ დააქანა და ერთ მათ-განს უძღვნა ორ სანტიმით დაშო-რებული კოცნა „დავესკით“ 26! ამის გაგონებაზე ყველა შესაფერი ციფრით გაუმასპირძლდა, მიუხე-დავათ იმისა რომ ეს 26 ერთს ეკუ-თნოდა....

დიდათ დაგვავალეს „ბაქარისტებ-მა“. ესენი მეორე დღის 12 საათამ-დის არ ამდგარან. მიუხედავათ ასე-თი ენერგიისა, ის საიდუმლო მოს-რიალე კოლოფი, რომლის საიდუმ-ლოების გაგება იყო საჭირო, კვლავ ძველებურათ აუხსნელი დარჩა... მე-ორე დღეს არც ერთს დაღლილობა არ ემჩნეოდა ისე მჩატეთ ეკავათ თავები, რაც უნდა დაუმადლოთ ადგილობრივ მკვირცხლ ბუნებას და ჯიბეების დაცალიერებას...

ამავე ღამეს განცხადების გაუკვ-რელათ ბევრ ოჯახში 1 მაისი აღსა-ნიშნავათ გაიმართა საცეკვაო საღა-მოები, სადაც სამხედრო მუსიკა უკ-რავდა „მარშ პოდ ობისკომ“! საღა-მო იქაც მშვიდათ ჩატარდა. მხო-ლოთ დაიკარგა 4 კაცი. ამას გარდა აღმოჩნდა დაკრგული ,,მისწრება‘‘ თავისი ,,კავალერით‘‘ გამოიწერეს გამოცდილი მაძებარი ძაღლები... მეორე დღეს ითამაშეს დარჩენილ ხორაგის ,,ლიკვიდაცია‘‘. წარმოდგე-ნა კარგათ ჩატარდა. უკმაყოფილება მხოლოდ გამოიწვია ერთი კიტრის დაკარგვამ, რაც დეკორაციას ელფ-ერს უკარგავდა. ასე ტრაღიკულათ დამთავრდა ჩვენი საღამო და მე, როგორც მისწრებას, დროზე არ მიმესწრო, დამერწმუნეთ მეტს მსხვე-რპლს შეიწირავდა...

**მისწრება.**







## წერილი რედაქციას.

ბ-ნო რედაქტორო! ჟურნალ-“მათრახის“ მეხუთმეტე ნომრის—მეხუთე გვერდზედ იყო მოთავსებული კარიკატურა სამტრედიიდგან ქაუტოლლის პსევდონიმით ვილაც ილიას და ეშმაკის საუბარი და ველოსიპედით საქილაოსკენ მოგზაურობა, რომლის ავტო-რობას მე მაბრალებენ. ვთხოვ პატივცემულ რედაქციას დამიმოწმოს რომ ის კარიკატუ-რა მე არ მეკუთვნის,—

ვლად. ნაცვალაძე.—

—

ვამოწმებთ რომ ზემოხსენებული კარიკა-ტურა არ ეკუთვნის ვლ. ნაცვალაძეს.

,,მათრახის‘‘ რედაქცია.

## მოქალაქეთა სიმღერა ზაფხულში.

ლაღიძის ლიმონათები
ყველაზედ უკეთესია,
იგი რომ კაცმა დალიოს
მართლაც რიგი და წესია.

უწყინარია ყველასთვის
(წინ და წინ მოხარშულია),
სურნელება აქვს ისეთი —
დაგიამდებათ გულია.

არ გვინდა სხვა ლიმონათი
(მხოლოთ-და შაქარ-წყალია)
კარგი გვაქვს, გლახა დავლიოთ?
აბა რა სამართალია!

ლაღიძის ლიმონათები
ყველა სასმლებს სჯობია,
ვინც იმას ხშირად არა სვამს —
სულყველა დასაგმობია.

**ქალაქელი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. ,,შრომა‘‘, მუხრანის 1. № 12. რედაქტ.-გამომც. თ. ბოლქვაძე.